ანოტაცია

ფრანგული ფილოლოგია

სიურეალიზმი/Surrealism

სასწავლო კურსის მაგისტრანტებს შეასწავლის სიურრეალიზმის – XX საუკუნის ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში ყველაზე რადიკალური ავანგარდული მიმდინარეობის – ისტორიას, მისი წარმომშობი მიზეზების, წინაპირობებისა და კულტურული ატმოსფეროს გაანალიზებას. სასწავლო კურსი მოიცავს პერიოდს XX საუკუნის 10-იანი წლებიდან 60-იანი წლების ბოლომდე (სიურრეალიზმი ლიტერატურასა და მხატვრობაში).

გიიომ აპოლინერი და მოდერნისტული პოეზია/Guillaume Apollinaire and the modern poetry

სასწავლო კურსი მაგისტრანტებს შეასწავლის მე-20 საუკუნის დასაწყისის ფრანგულ პოეზიაში იმ ინოვაციებს, რომლებიც საფრანგეთში 1900-იანი წლებიდან ვლინდება და აპოლინერის სახელს უკავშირდება, იმ ლიტერატურული და კულტურული ატმოსფეროს გაანალიზების გზით, რომელშიც იშვა "ახალი სულისკვეთება", რის შემდგომაც ფრანგულმა პოეზიამ განვითარების სრულებით ახალი გზები იპოვა.

აბსურდის თეატრი /Theatre of The Absurd

სასწავლო კურსის ფარგლებში შეისწავლება აბსურდის თეატრის ისტორია, მისი ნოვატორული ხასიათი და, ამავე დროს, ნაჩვენებია ამ თეატრის ტრაგი-კომიკური თემატიკის, ენის და სტრუქტურული ტექნიკის ორიგინალობა.

რომანი და ფილოსოფია/Novel and Philosophy

წინამდებარე კურსის შეასწავლის სტუდენტებს ცნობილი ფრანგი მწერლის ა. კამიუს შემოქმედებით გზას, სთავაზობს მათ მისი მხატვრულ-ლიტერატურული და ფილოსოფიური ტექსტების ანალიზს; კურსი მიზნად ისახავს აბსურდის ცნების დაზუსტებას, იმ შინაარსის წარმოჩენას, რომელსაც „სიზიფეს მითის" ავტორი ამ ცნებაში დებს; საუბარი, პირველ ყოვლისა, შეეხება ადამიანის მიმართებას სამყაროსადმი, რაციონალურისა და ირაციონალურის დაპირისპირებას, გარე სამყაროსა და საკუთარი არსებობისადმი ადამიანის გაუცხოებას.

ფანტასტიკური ლიტერატურა/Fantastic literature

სასწავლო კურსი _ ,,ფანტასტიკური ლიტერატურა''_ წარმოადგენს ფანტასტიკური ლიტერატურის ისტორიის შესწავლას და ფანტასტიკური დისკურსის ანალიზს. სასწავლო კურსი შეისწავლის ფრანგული ფანტასტიკური ლიტერატურის მნიშვნელოვან ნიმუშებს: ჟაკ კაზოტის, შარლ ნოდიეს, ონორე დე ბალზაკის, ტეოფილ გოტიეს, ჟერარ დე ნერვალის, გი დე მოპასანის მხატვრულ-ლიტერატურულ ტექსტებს. კურსი მოიცავს

ფანტასტიკური ჟანრის განვითარების მოკლე ისტორიას და მის ტიპოლოგიას, ფანტასტიკური დისკურსის თავისებურებებს.

რომანულ ენათა სოციოლინგვისტიკა/Sociolinguistics of Roman Languages
სალექციო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ენასა და საზოგადოებას შორის არსებულ ურთიერთმიმართებებს, თუ რა გავლენას ახდენს საზოგადოება ენაში მომხდარ ცვლილებებზე, და ზოგადად იმ ურთიერთობების გარკვევას, რაც არსებობს ენობრივ სისტემასა და სოციალურ სტრუქტურას შორის.

თანამედროვე ლიტერატურული კვლევის მეთოდები/The modern methods of Literary research

სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია თანამედროვე კრიტიკულ ნაშრომებზე დაყრდნობით უახლესი მეთოდოლოგიური მიღწევების შესწავლა. ლიტერატურული ტექსტების ანალიზის დროს სოციოკრიტიკული, ფსიქოკრიტიკული, გენეტიკური, თემატური, ტექსტობრივი კვლევის მეთოდების გამოყენება.

ჟანრების თეორია/Genre Theory
სასწავლო კურსი ითვალისწინებს ლიტერატურული ჟანრების, მათთან დაკავშირებული პრობლემატიკისა და მრავალმხრივი მიდგომების შესწავლას; ჟანრების თეორიის ტიპოლოგიურ, ისტორიულ და დინამიურ ჭრილში განხილვასა და გაანალიზებას.

კინო, თეატრი, ლიტერატურა/Cinema/Theatre, Litterature
სალექციო კურსი ითვალისწინებს რამდენიმე თეორიულ საკითხსა და პრაქტიკულ სამუშაოზე დაყრდნობით სტუდენტებს გააცნოს თანამედროვე კინოსა და თეატრის ძირითადი ტენდენციები; კინოსა და თეატრის ინტერდისციპლინარულობაზე დაფიქრებით სტუდენტებს ყურადღება გაამახვილებინოს ხელოვნების სხვადასხვა დარგის სინთეზურობაზე და შესძინოს კინოსა და თეატრის კრიტიკისა და ანალიზისათვის აუცილებელი ჩვევები.

მხატვრული თარგმანი: ისტორია, თეორია და პრაქტიკა/The literary translation:history, theory and practics
სასწავლო კურსი ხელს უწყობს სტუდენტებს, შეიძინონ მხატვრული ლიტერატურის **მთარგმნელის / თარგმანის ექსპერტ ისათვის** აუცილებელი უნარ-ჩვევები, რომლებიც დაეხმარება მათ, თავისუფლად თარგმნონ სხვადასხვა ტიპის ტექსტი ფრანგულიდან ქართულად და შეძლონ თარგმნილი ტექსტების კრიტიკული ანალიზი და შეფასება.

კომპარატისტული ლიტერატურის ისტორია/History of Comparative literature

სალექციო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან კომპარატისტული ლიტერატურის განსაზღვრას, გაეცნობიან იმ ფუნდამენტურ სხვაობებს, რაც კომპარატისტულ ლიტერატურას განასხვავებს სხვა კომპარატისტული დისციპლინებისაგან. იგი, ამასთანავე, მიზნად ისახავს სტუდენტისათვის კომპარატისტულ კომენტარებზე მუშაობისათვის საჭირო მეთოდოლოგიური მასალის მიწოდებას, შედარებისა (comparaison) და კომპარატიზმის (comparatisme) ცნებების ერთმანეთისაგან განსხვავებას და იმ თემების და მოტივების გამოყოფას, რომლებიც სხვადასხვა ლიტერატურას ან ლიტერატურასა და არავერბალურ ხელოვნებას ერთმანეთთან აკავშირებს.

ანოტაცია

იტალიური ფილოლოგია

იტალიური ენის საერთაშორისო გამოცდისათვის მოსამზადებელი კურსი CILS-C1/Preparation for international exame – CILS , level -C1

CILS – კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია კურსის იტალიური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი საერთაშორისო სერთიფიკატის გამოცდისათვის მომზადება. დონე – C1;

იტალიური ენის საერთაშორისო გამოცდისათვის მოსამზადებელი კურსი CILS-C2/Preparation for international exame – CILS , level –C2

CILS - კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია იტალიური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი საერთაშორისო სერთიფიკატის გამოცდისათვის მომზადება. დონე – C2;

იტალიური ფრაზეოლოგიის სემანტიკის საკითხები

კურსი სტუდენტებს აცნობს ფრაზეოლოგიის თეორიულ საფუძვლებს; განსაზღვრულია იტალიური ენის იდიომატური კორპუსის სემანტიკური ანალიზი ქართულთან მიმართებით; ტიპოლოგიური კვლევისათვის მომზადება.

იტალიური დიალექტოლოგია/Italian Dialectology

სამაგისტრო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები გაეცნობიან იტალიური ენის დიალექტოლოგიის საფუძვლებს, რაც მათ ჩამოუყალიბებს იტალიური ენის კომპლექსურ, სისტემურ ხედვას.

ომისა და დაბრუნების თემა ჩეზარე პავეზეს შემოქმედებაში /The Idea of the ”war” and ”returning” in Paveze’s writings

შეთავაზებული ავტორის ნაწარმოებების წაკითხვის, დამუშავებისა და კომენტირების შედეგად მაგისტრანტებს, კონკრეტული ავტორის შესწავლასთან ერთად, გაუღრმავდებათ ზოგადად იტალიური ლიტერატურის ცოდნა და ჩამოუყალიბდებათ კრიტიკული აზროვნების უნარი.

სურეალიზმი და რეალობა: იტალო კალვინოსა და დინო ბუცატის შემოქმედება/Surrealism and Reality: Italo Kalvino and Dino Buzzatti

შეთავაზებული ავტორის ნაწარმოებების წაკითხვის, დამუშავებისა და კომენტირების შედეგად მაგისტრანტებს, კონკრეტული ავტორების შესწავლასთან ერთად, გაუღრმავდებათ ზოგადად იტალიური ლიტერატურის ცოდნა და ჩამოუყალიბდებათ კრიტიკული აზროვნების უნარი.

ჯოვანი ვერგა და ვერიზმი/Giovanni Verga and Verism

სამაგისტრო კურსის ფარგლებში შეთავაზებული ავტორის ნაწარმოებების წაკითხვის, დამუშავებისა და კომენტირების შედეგად მაგისტრანტებს, კონკრეტული ავტორების შესწავლასთან ერთად, გაუღრმავდებათ ზოგადად იტალიური ლიტერატურის ცოდნა და ჩამოუყალიბდებათ კრიტიკული აზროვნების უნარი.

XX საუკუნის პირველი ნახევრის იტალიური პოეზია/Italian Poetry of First part of XX century

სალექციო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები გაეცნობიან იტალიური პოეზიის ნიმუშებს, მათ ავტორებსა (გუიდო გოცანო, ეუჯენიო მონტალე, ჯუზეპე უნგარეტი, სალვატორე კვაზიმოდო, უმბერტო საბა) და, ზოგადად, მიმდინარეობებს

ანოტაცია

ესპანური ფილოლოგია

ესპანური ენის გაღრმავებული კურსი DELE C1-C2

აღნიშნული კურსის ფარგლებში მაგისტრანტები გაიღრმავებენ ესპანური ენის ცოდნას. გათვალისწინებულია ენის მდგომარეობების ზოგადი დახასიათების გაცნობა ენობრივი თავისებურებების მრავალმხრივი შესწავლის საფუძველზე; თანამედროვე ესპანური ენის სისტემების კანონზომიერების განსაზღვრა და მისი განვითარების ტენდენციების წარმოჩენა; ლინგვისტური თვალსაწიერის გაფართოება და შემოქმედებითი ძიების უნარის გაღვივება სტუდენტების აზროვნებაში.

ესპანურენოვანი ტექსტის ლინგვისტური ანალიზი და კომენტარი/Spanish texts analysis and comments

აღნიშნული კურსია ესპანური ენის თანამედროვე ლინგვისტურ პრობლემებს აცნობს სტუდენტს, გათვალისწინებულია ენის მდგომარეობების ზოგადი დახასიათების გაცნობა ენობრივი თავისებურებების მრავალმხრივი შესწავლის საფუძველზე (სემანტიკური, ლექსიკურ–გრამატიკული, სიტყვათმაწარმოებელი და სხვა); კვლევის თანამედროვე, უახლეს და ტრადიციულ მეთოდებზე, ესპანური ენის კასტილიურ ნორმებზე და ესპანური ენის ლათინოამერიკულ ვარიანტებზე დაყრდნობით; ტექსტის ლინგვისტური ანალიზის და თავისებურებების გათვალისწინება.

ესპანური ენის ლათინოამერიკული ვარიანტი/Latinamerican Variant of Spanish

აღნიშნული კურსი აცნობს სტუდენტს ესპანური ენისა და კულტურის გავრცელების ფართო ასპექტებსა და ძირითად მომენტებს ესპანური ენის თავისებურებათა გათვლისწინებით. კურსი გააცნობს სტუდენტებს, თუ როგორ გავრცელდა ესპანური ენა და როგორია იგი იბერიის ნახევარკუნძულის ფარგლებს გარეთ; ასევე, შეასწავლის ესპანური ენის გრამატიკული წყობის სპეციფიკას.

ესპანური პრაგმატიკის თეორია – Theory of Spanish Pragmatics

აღნიშნული კურსის ესპანური ენის თანამედროვე ლინგვისტურ პრობლემებს აცნობს სტუდენტს. გათვალისწინებულია თანამედროვე ესპანური ენის სისტემების კანონზომიერების განსაზღვრა და მისი განვითარების ტენდენციების წარმოჩენა; ლინგვისტური თვალსაწიერის გაფართოება და შემოქმედებითი ძიების უნარის გაღვივება სტუდენტების აზროვნებაში. ამ დისციპლინის სწავლება მიმდინარეობს ლექსიკის საორგანიზაციო სისტემებზე, კვლევის თანამედროვე, უახლეს და ტრადიციულ მეთოდებზე, ესპანური ენის კასტილიურ ნორმებზე და ესპანური ენის ლათინოამერიკულ ვარიანტებზე დაყრდნობით.

თანამედროვე ესპანური ენის გამოყენება და სტრუქტურა/Usage of Moderns Spanish Language and its structure

აღნიშნული კურსი თანამედროვე ესპანური ენის ლინგვისტურ პრობლემებს აცნობს სტუდენტს; გათვალისწინებულია მისი მდგომარეობის ზოგადი დახასიათება ენობრივი თავისებურებების მრავალმხრივი შესწავლის საფუძველზე (სემანტიკური, ლექსიკურ–გრამატიკული, სიტყვათმაწარმოებელი და სხვა); თანამედროვე ესპანური ენის სისტემების კანონზომიერების განსაზღვრა და მისი განვითარების ტენდენციების წარმოჩენა; ლინგვისტური თვალსაწიერის გაფართოება და შემოქმედებითი ძიების უნარის გაღვივება სტუდენტების აზროვნებაში.

ავანგარდი, 27–ანელთა თაობა ესპანურ ლიტერატურაში/Generation of 27, Vanguard

კურსის ფარგლებში შეისწავლება XIXს დასასრულისა და XX საუკუნის ესპანეთის ლიტერატურა; მთავარი ლიტერატურული მიმდინარეობები და სკოლები; მნიშვნელოვანი მწერლების შემოქმედება; საეტაპო ნაწარმოების წაკითხვა-ანალიზი; ეგზისტენციალისტური ფილოსოფიის ავტორების გაცნობა; ესპანურენოვანი მოდერნიზმის თავისებურებანის შესწავლა.

XIXს დასასრულისა და XX საუკუნის ესპანეთის ლიტერატურა/ Peculiarities of Spanish Modernism

სალექციო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია მთავარი ლიტერატურული მიმდინარეობებისა და სკოლების, მნიშვნელოვანი მწერლების შემოქმედების შესწავლა.საეტაპო ნაწარმოების წაკითხვა-ანალიზი. ეგზისტენციალისტური ფილოსოფიის ავტორების გაცნობა.

ეგზისტენციალისტური რომანი ესპანურ ლიტერატურაში/E xistential Novel in Spanish literature

XIXს დასასრული სა და XXსაუკუნის ესპანეთის ლიტერატურა. მთავარი ლიტერატურული მიმდინარეობები და სკოლები. მნიშვნელოვანი მწერლეწბის შემოქმედება. საეტაპო ნაწარმოების წაკითხვა-ანალიზი. ექსისტენციალისტური ფილოსოფიის ავტორების გაცნობა. ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიაში; მონაწილეობის, თხრობის, კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემის ნარის გამომუშავება.

„ოქროს ხანა“ ესპანურ ლიტერატურაში/Centuary of Gold in Spanish Literature

“ოქროს ხანის” ესპანეთის პოლიტიკური, კულტურული და სულიერი ცხოვრების განხილვა. სერვანტესის შემოქმედების სროლყოფილი განხილვა. ბაროკოს ეპოქა ესპანურ ლიტერატურაში. ლოპე დე ვეგას და კალდერონის თეატრი. მთავარი ლიტერატურული მიმდინარეობები და სკოლები. მნიშვნელოვანი მწერლების შემოქმედება. საეტაპო ნაწარმოების წაკითხვა-ანალიზი.ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიაში. მონაწილეობის, თხრობის, კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემის ნარის გამომუშავება. ესპანურენოვანი ლიტერატურის ტერმინოლოგიის განვითარება–ლიტერატურული მიმდინარეობების გარჩევა.ესპანური და ესპანურენოვანი ლიტერატურული ტერმინების განმარტება.ტერმინოოლოგიის გამოყენება ნაწარმოების წაკითხვა-ანალიზისას. ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიაშიმონაწილეობის, თხრობის, კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემის ნარის გამომუშავება.

მიგელ დე ინამუნო და ესაპნური ეგზისტენციალიზმი/Miguel de Unamuno and spanish existentialism

XIXს დასასრული სა და XXსაუკუნის ესპანეთის ლიტერატურა.მთავარი ლიტერატურული მიმდინარეობები და სკოლები.მნიშვნელოვანი მწერლეწბის შემოქმედება.საეტაპო ნაწარმოების წაკითხვა-ანალიზი.ექსისტენციალისტური ფილოსოფიის ავტორების გაცნობა.